საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის და რადიოს

განვითარების კონცეფცია

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო მეტწილად აკმაყოფილებს საზოგადეობრივი მაუწყებლის ყველა მოთხოვნას და გამოირჩევა მაღალრეიტინგული საინფორმაციო და შემეცნებითი გადაცემებით. თუმცა შესაძლებელია რამდენიმე მიმართულების გაუმჯობესება. კერძოდ:

ა) საზოგადოებაში ნდობის ამაღლება და პოზიტიური იმიჯის შექმნა, რაც მიიღწევა როგორც საინტერესო, სარწმუნო, ობიექტური, ოპერატიული, დაბალანსებული და ეთიკური საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემებით, ასევე საზოგადოებრივი აქტივობებით, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და დემოკრატიული ფასეულობების ადვოკატირებით. ამისათვის გასაძლიერებელია მარკეტინგის სამსახური, რომელიც თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად განახორციელებს/იქნება მხარდამჭერი სხვადასხვა საზოგადოებრივი კამპანიის, რომელიც წაახალისებს სოციალურ პასუხისმგებლობას და საზოგადოების სიკეთეებზე სხვადასხვა სექტორის ერთობლივ ზრუნვას.

ბ) კონტენტის გამრავალფეროვნება - აჭარის ტელევიზია აუდიტორიის ყველა სეგმენტს ვერ მოიცავს, რაც შესაძლებელია რამდენიმე გადაცემის დამატებით, რომელიც იქნება ორიენტირებული თინეიჯერების/ახალგაზრდების და ბავშვების შემეცნებასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე. გადის გადაცემა ჰეშთეგი, რომელიც კარგად არის მომზადებული და გარკვეულწილად ახალგაზრდებისთვის საინტერესო თემებსაც ეხება, მაგრამ სასურველია უფრო ვიწროდ სეგმენტირებული გადაცემების დამატება. ეს გადაცემები შეიძლება გავიდეს როგორც ტელევიზიაში, ასევე რადიოში. დამატებით, აჭარის ტელევიზიის და რადიო მაუწყებელს აქვს შესაძლებლობა ითანამშრომლოს კერძო და არასამთავრობო სექტორთან და გადაცემები (მათ შორის თოქ-შოუები) ჩაწეროს სხვადასხვა ლოკაციაზე როგორც ბათუმში, ასევე მუნიციპალიტეტებში, რითიც გარკვეულწილად ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტების პოპულარიზაციას და რაც მთავარია შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოსახლეობას აქტიურად და ღიად ადგილზევე ჩაერთონ აქტუალური თემების დისკუსიაში.

გ) რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება - აჭარის ტელევიზიას ნაციონალურ მაუწყებლებს შორის საკმაოდ მაღალი რეიტინგი

აქვს და ასევე შესაძლებლობა ყველა რეგიონის ლოკალური ამბების გაშუქება შეძლოს დამატებითი დანახარჯების გარეშე. აჭარის ტელევიზიას აქვს განავითაროს სამოქალაქო ჟურნალისტიკა და გააქტიუროს მაყურებელთა ჩართულობა ვებ-გვერდის და სოციალური ქსელების გამოყენებით. ელექტრონული პლატფორმების სწორი მართვით აჭარის ტელევიზიას აქვს ასევე შანსი გახდეს პირველწყარო ინფორმაციის, როგორც აჭარაში, ასევე საქართველოს მასშტაბით. აქვე აღსანიშნავია, რომ აჭარის ტელევიზიას აქვს შესაძლებლობა ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ მაუწყებლებთან. მაღალპროფესიულად მომზადებული პროდუქციის გაცვლით მოხდება ტელევიზიის და რადიოს კონტენტის შევსება და საერთაშორისო ერთობლივი პროექტების მომზადებით, მოხდება რეგიონის და ქვეყნის უცხოელებისთვის გაცნობა და პოტენციური ტურისტების მოზიდვა.

დ) ეფექტური პიარი და მარკეტინგი - საჭიროა აჭარის ტელევიზიის და აჭარის რადიოს თითოეული გადაცემის მარკეტინგული გეგმის შექმნა და ამოქმედება; ანონსების/პრომოების როგორც ეთერში, ასევე სხვა პლატფორმებზე განთავსება; გადაცემების რეკლამირება სხვა პლატფორმებზე (საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და რეგიონულ ტელევიზიებში); თანამშრომლების, როგორც ტელევიზიის სახეების პოპულარიზაცია; სოციალური აქტივობების ინიცირება და განხორციელება.

ე) ონლაინ პლატფორმების ეფექტურად ამუშავება - რადიო პოდკასტების, ტვ და აუდიო ბლოგების დამატება, ვიდეო ბრიფების მომზადება, სოციალური ქსელების/არხების გააქტიურება; უკუკავშირის ეფექტური მექანიზმების შექმნა; გადაცემების შექმნაში/თემის შერჩევაში სხვადასხვა სეგმენტის ჩართვა; ჯვარედინი-პრომოცია ტელევიზიას, რადიოს და ონლაინ პლატფორმებზე; ტელევიზიისა და რადიოს ვებ-გვერდებზე გადაცემების განთავსების გარდა შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ საკითხზე/რეპორტაჟზე/გადაცემაზე დისკუსიის გამართვა სოციალურ ქსელში. ეს ყოველივე აჭარის ტელევიზიასა და რადიოს გაუზრდის წვდომას სხვადასხვა სეგმენტზე.

3) ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის შემუშავება - თანამშრომლებში, სამართლიანობის განცდის შექმნა, პოზიტიური განწყობის დამკვიდრება და მოტივირება; თანამშრომლების განვითარებაზე ზრუნვა; სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარება; ბიუჯეტის გაზრდა, რათა პროდუქციის შემქნელები სათანადოდ დაჯილდოვდნენ.

ზ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება - სასურველია დაიწყოს მუშაობა კანონპროექტზე, რომლის მიხედვითად აჭარის ტელევიზიისა და რადიოს და საქართველოს საზმაუს შორის ბიუჯეტი სამართლიანად - რეალური რეიტინგების მიხედვით გადანაწილდება. აჭარის მაუწყებელმა უნდა მოიპოვოს სათანადო დაფინანსება, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, რაც აუცილებელია კონკურენტუნარიანი მრავალფეროვანი პროდუქციის შექმნისთვის.

თ) გაზეთ "აჭარას" ინტეგრირება საზოგადოებრივ მაუწყებელში - მაუწყებელი თავისთავში ელექტრონულ მედიას გულისხმობს, მაგრამ შესაძლებელია ისტორიული პერიოდული გამოცემა გაზეთი აჭარა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაწილად იქცეს და მნიშვნელოვანი თემები სიღრმისეულად გაშუქდეს, ე.წ. იმ მოსახლეობისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ უყვარს ბეჭდური სახით ინფორმაციის მიღება და ასევე მაღალმთიან აჭარაში, სადაც ინტერნეტზე წვდომა ან ელექტრონულად კითხვის ჩვევა ჯერ კიდევ არ აქვთ.

მედია ყოველდღიურად ვითარდება, ტექნოლოგიები და პრინციპები, რომლებსაც წლების წინ ეყრდნობოდა მედია ორგანიზაცია, დღეს ნაკლებად მოთხოვნადია. მნიშვნელოვანია, რომ აჭარის ტელევიზიის და რადიოს თანამშრომლებს მიეცეთ შესაძლებლობა უცხოეთში სტაჟირებების, დატრენინგების და ცოდნის გაღრმავების. უწყვეტ განათლებაშია პროგრესი და განვითარება.

ნათია სირაბიძე
26.09.2019